

# მწყეპსი



მე ვარ მწყეპსი კეთილი: მწყეპსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.  
 შპოვე ცხოვარი ჩემი წაწყემდული. მსრეთ იყოს სიხარულ ცოთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.  
 მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 20


1883—1901

15—30 ოქტომბერი.

## რეალისტიკა.

ჩვენი გულითადი წადილია და ვედრება მკისმანა დემონთან და აღკვისრუა. ჩვენი გულითადი წადილი იყო დაგვეარსებინა ბეჭდითი ორჯანო და შეძლებისა დაგვარად სამსახური გავეწვია ჩვენ მწყეპსთა და სამწესოთათვის. ჩვენი გულისა და სულის ნატვრა იყო, რომ იმ სიბნელეში, რომლითაც მოცულა ჩვენი არე-მარე, ცოტა მაინც, სანათლის შუქი შეგვეტანა; საზოგადოებისათვის კონცების განვითარებისა და კითხვის სურვილი საჭირო მათხოვნილებად გავგვსადა...

რამდენად აღკვისრულდა ჩვენ ჩვენი გულის წადილი და რა სამსახური გაუწიეთ ჩვენ ჩვენ გამოცემათა მეოხებით ჩვენს საზოგადოებას ამ თვრამეტი წლის განმავლობაში, ამის დაფასება თვით საზოგადოებას შეუძლია. ამ სამსახურის ჯეროვანად დაფასების დროს უველამ უნდა მიიქციოს უურადდება ზირველად მას, თუ რამდენი დაბრკოლებანი ეღობებიან წინ ყოველ სალიტერატურო ასპარეზსე გამოსულ მუშაკს და მეორედ იმას, თუ რამდენად დაკარგული აქვს ჩვენს საზოგადოებას მად კონცებით განვითარებისა, ყურნალ-გაზეთების და საზოგადოდ წიგნების კითხვისა...




მაგრამ არა მიძვედელი ამ სამწუხარო მოვლენათა, ღვთის შეწევნით და ჩვენი სამღვდლოების და სასოგადოების თანაგრძნობით, თერაპეუტი წლის განმავლობაში ჩვენი გამოცემანი არსებობენ და შეძლებისა დაკვირვებულ სამსახურს უწყევნ სასოგადოებას...

გულითად მადლობას ვსწირავთ ვეჟელ ჩვენ გამოცემათა ხელის მომწერთა, რომელთაც დახმარება გაკვირვის დედაჩვენს ერთან ერთ საერო და სასულიერო ორგანოების არსებობისათვის. სულ-გრძელობით შეუძლებთ ვეჟელს, რომელნიც აღჭურვილნი იყვნენ და არიან ჩვენი ორგანოების წინააღმდეგ სხვადა-სხვა ზირადი ანგარიშების გამო...

დაიმედებული ღვთის შეწევნასა, ჩვენი სამღვდლოების და სასოგადოების ზნეობითი დახმარებაზე და ჩვეულებრივ თანაგრძნობაზე, ვაცხადებთ მომავალი 1902 წლისათვის გასეთზე ხელის მოწერას.

სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სწავლული სამღვდლოება და განსაკუთრებით სტუდენტობა არ დაიშურებენ თავიანთ შრომას და «მწეების» სამუშაოებით მიაწვდიან სასოგადოებას სასარგებლო გონების ხასრდოს და თვით ორგანოსაც საბოლოოდ ამით გაუწყვეთ სასურველ მზრუნველობას...

რედაქტორი დკ. დ. დამბაშიძე.



# მღვდელი

სემანარელების საყურადღებოდ.

მღვდელი არის მოსამსახურე ღმრთისა, ახლო მდგომი ხალხთან. იგი მუდამ ხალხში სცხოვრებს. მღვდლის ლოცვა-კურთხევა იფარავს თითოეულს სახლს და თითოეულს ქრისტიანს; მღვდელს უცქერიან, როგორც შუამავალს ცასა და ქრისტიანეთა შორის.

ძვირად იქნება სამრევლოში ისეთი ოჯახი, სადაც ქალი და კაცი, მოხუცებული და ახალ-გაზრდა დიდის პატივით და სიყვარულით არ იღებდნენ მღვდელს. მღვდელი დაახლოებულია სამრევლოს თითოეულ ოჯახთან. როგორც სულიერი მამა, იგია მრჩეველი და მანუგეშებელი თითოეული სამრევლოთაგანისა; მღვდელს მიმართვენ ხოლმე სიხარულის და მწუხარების დროს. ყოველი ოჯახის კარი მღვდლისათვის ღიაა.

ლოცვა-კურთხევა მღვდლისა თანა სდევს ქრისტიანთ დაბადებიდან სამარის კარებამდე. მღვდელია პირველი მაკურთხებელი ახლად დაბადებულისა და მშობიარესი. მღვდელი გამოითხოვს ხოლმე აკვანში მწოლარე ყრმისათვის სიცოცხლეს და გარდაცემს მას ღვთის მადლს; დაგვირგვინების დროს სთხოვს უზენაესს, რათა აკურთხოს ახალ-გაზრდა ცოლ-ქმარნი და დაასაჩუქროს ისინი შვილიერობით; გარდაცვალების დროს სთხოვს ყოვლად მოწყალეს, რათა განუსვენოს გარდაცვალებულთ თვის სასუფეველსა შინა.

როგორც მოსამსახურე სიმართლისა და კეთილისა მღვდელი პირველი მიმდევარი უნდა იყოს ქვეშაობებისა და ქველ-მოქმედებისა. მისი სიტყვა უნდა იყოს ქვეშაობება, საქმენი მისნი—ქველის მოქმედებანი, მისი ცხოვრება—თავისი თავის შეწირვა. როგორც კი ვინმეს შეემთხვევა რაიმე უბედურება ანუ განსაცდელი, მღვდელი მაშინვე მასთან უნდა გაჩნდეს და ანუგეშოს იგი; ესტკვათ ვინმე ჩავარდა მოწყენილობასა და სასოწარკვეთილებაში, მოძღვარი უნდა იქნეს პირველი მისი გამამტკიცებელი და სულიერი მკურნალი. სადაცაა ტირილი, ცრემლი და სასოწარკვეთილება, იქ პირველი შემწე

და მანუგეშებელი უნდა იქნეს მღვდელი. მან პირველმა უნდა გაუწვდინოს ხელი მწუხარეთ და უბედურთ, პირველმა უნდა აჩვენოს ყველას მაგალითი ქველ-მოქმედებისა; მისი ცხოვრების მაგალითები მისაბაძავნი უნდა იქმნენ მოწყალების და ქველ-მოქმედების საქმეში უბედურთა და გაჭირვებულთადმი.

მღვდელი ყველასათვის ერთგვარად კეთილი, მანუგეშებელი და შემწე უნდა იყოს. მისი სახლის კარები ყველასათვის ღია უნდა იყოს—მდიდართათვის და ღარიბთათვის, ახალ-გაზრდათა და მოხუცებულთათვის, კეთილთა და უკეთურთათვის. იგი ერთგვარად უნდა უცქეროდეს მდიდართ და ღარიბთ და უნდა ეწეოდეს ღარიბთ მდიდართა დახმარებით, უნდა გაასწოროს ცოდვილნი კეთილ მსახურთა კაი მაგალითებით, უნდა გაამაგროს უბედურნი ბედნიერთა მაგალითებით.

როგორც მოსამსახურე ღმრთისა, მღვდელი უნდა იყოს მორწმუნე, წმიდა, უცოდველ, მართლმსაჯული, გულ-წრფელი, მორჩილი, აღსავსე ძმურის სიყვარულით, არ უნდა იყოს ფულის მოყვარული, უნდა იყოს მომთმენი, და საზოგადო საქმისათვის თავ-დადებული. მან არ უნდა აღძრას მტრობა და შური ქრისტიანეთა შორის და არც არავის უნდა მოეპყრას მტრულად. თავის მტრებს უნდა ეპყრობოდეს სიყვარულობით, მორჩილად; სიყვარულს შეუძლია სძლიოს ყველა მაგინებელთ, ხოლო მორჩილებას და თავმდაბლობას შეუძლია მოარბილოს თვით განძინებულნი მტერნი.

მღვდელი არის „მარტილი ქვეყნისა“. მისი სული ამბობს იოანე ოქროპირი, უნდა ანათებდეს მსგავსად ლამპრისა, რომელიც ანათებს მთელს მსოფლიოს. იგი უნდა იყოს წმიდა, და მუდამ უნდა ილოცვიდეს ღმერთსა. ყოველივე დევნის და შეურაცხების მიყენების დროს მღვდელი უნდა იყვეს მხნედ, მტკიცედ და არ უნდა უმტყუნოს ქვეშაობას და სიყვარულს. იმან უნდა იხელმძღვანელოს ქრისტეს და მოციქულების მაგალითით: იგინი ყოველივე უსამართლოებას ხედებოდენ ქვეშაობით აღტურვილნი, მლანძღველ-მაგინებელთ ექცეოდნენ სიყვარულობით, ყოველივე შეურაცხებას იღებდნენ მორჩილებით და არას დროს სამაგიეროს არ უხდიდნენ შემაგინებელთ. და სწორეთ ამ იარაღით სძლიეს მათ ყოველთა მტერთა, ყოველივე უმართლოებას და ყოველივე გულის წყრომა.

ჩვენს დროშიაც სამღვდლოებას ხშირად დაცინიან, და ზოგნი ზიზლით და მძულვარებით უყურებენ მღვდლებს. მღვდლებს აბრალებენ ანგარებას და გაუნათლებლობას. როგორ უნდა მოექცეს მღვდელი ყოველივე ამ მხილებას და მლანძღველთ? შეიძლება, რომ ლანძღვა ლანძღვითვე გადაუხადოს, და მათ, რომელნიც მღვდელს ზიზლით და მძულვარებით უცქერიან, ზიზლით და მძულვარებით მოეპყრას? არა. ლანძღვა-გინების სამაგიეროდ მღვდელმა ლოცვა-კურთხევა უნდა გადასცეს მლანძღველთ: აკურთხევდით მაგინებელთა თქვენთა (მათ. 5, 54); ცილის წამების და მხილების პასუხად მღვდელმა უნდა იხმაროს სიმდაბლე, ღვთისნიერი და სამაგალითო სათნო ცხოვრება. თუ მღვდელი განათლების მხრით ძირა სდგას თავის მოწინააღმდეგეებზე, იგი უნდა წინ იდგეს მათზე ღვთისნიერი ცხოვრებით, ქველის მოქმედებით და სახარისებური სიყვარულით. იესო ქრისტემ აღიარა თავისი მოწაფეები უბრალო მეთევზეთაგან. ხოლო მათ თავისი მტკიცე სარწმუნოებით, ქველ-მოქმედებით, ღვთისნიერი ცხოვრებით და თავის განწირვით დაიმორჩილეს მთელი ქვეყანა. კაცის ძლიერი ღონის ნაცვლად მათ აქენდათ ღვთის მადლი;—კაცის სიბრძნის მაგიერ—სარწმუნოება, კერპთაყვანის-მცემელთა სიბრაზისა და ბოროტებისა, მათ აქენდათ სათნოება, სიყვარული და თავის განწირულება.

თითოეული მღვდელი უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ მოციქულთა მაგალითებით და სხვა იარაღი მას არ მოეძევა. თითოეულ მღვდელს უნდა ახსოვდეს, რომ იგი თავის სამრევლოში მწყემსია, ხოლო ძალა მწყემსისა მდგომარეობს სარწმუნოებასა, კეთილ ცხოვრებასა და ქველის საქმეში. მღვდელი ცოცხალი მაგალითია მისი სამრევლოისათვის: წერა-კითხვას უცოდინარნი და ცოტადანად განათლებულნი პირნი შესცქერიან მას, ტყობილობენ მის აზრს, ხოლო საქმენი და მოქმედებანი მისი არიან მათთვის მაგალითი და მეცნიერება. მღვდლის სიტყვანი, საქმენი და ყოფაქცევა გამომხატველნი უნდა იქმნენ სახარებაში მოხსენებულ სათნოებათა. როგორც კეთილმა მწყემსმა, მღვდელმა უნდა იგრძნოს ყოველივე მწუხარებანი სამრევლოისა და უნდა უწყოდეს მისი ყოველივე ნაკლულევანებანი და მარტო გრძნობა და ცოდნა კი არ არის საქირო, მღვდელმა უნდა იხმაროს შესაფერი ღონე, რომ




სამწყსოს ყოველივე მისი ნაკლულეგანება და მწუხარებანი შეუმსუბუქოს და განკურნოს სარწმუნოებით და ლოცვით. როცა მღვდელი შემწეობის ხელს აწვდის უძლურთა და ღარიბთა, ცრემლს უშრობს მტირალთ და მწუხარეთ თვალზე, ანუგეშებს უბედურთა და ტანჯულთა, ნახულობს ავადმყოფთა, იგივე მათ შესახებ მხურვალე ვედრებას აღავლენს ღვთისადმი ტაძარში: მღვდლის ხელშია გული და სული სამწყსოისა, იმასვე აქვს მაღლი უზენაესისა. როგორც ცხოველი და უძრავი მაგალითი სახარებაში მოხსენებული ცხოვრებისა, მღვდელი არის ცხოველი, კეთილი და სარწმუნო მცველი: ასეთი კეთილი მწყემსის სამრევლოში ბოროტების და ცუდი საქმეების მთესველნი არა თუ ვერ იქონიებენ გავლენას, უბრალო გავლასაც ვერ გაბედვენ მასში.

სარწმუნოება და სათნოება მღვდლისა და მისი სამწყსოისა უნდა იქნეს ძლიერი იარაღი სამღვდლოების და ეკლესიის მაგინებელთა წინააღმდეგ.

დიდია სამსახური მღვდლოებისა, დიდი და საპატიოა წოდება და თანამდებობა მღვდლისა. საერო წოდების არც ერთი თანამდებობა არ შეედრება მღვდლოების სამსახურს. მღვდელს აქვს საქმე ხალხთან, ხალხის გული და სული მოძღვრისაკენ არის მიქცეული. მოძღვარია მზრუნველი მრევლის კეთილდღეობისთვის ამ ქვეყანაზე და მერმის ცხოვრებასა შინა ცხოვრებისათვის. მღვდელია მწყემსი პირმეტყველ ქრისტეს ცხოვართათვის.

ვისაც სურს ღირსი გახდეს მღვდლოებისა, სწავლის დროსვე უნდა მოამზადოს თავი თვისი და აღიჭურვოს ზემოჩამოთვლილ ხასიათით და კეთილთვისებებითა. ის, რომელიც ამ ხასიათს და კეთილთვისებათა მოკლებულია და, მარტო საზრდოობისათვის მიეშურება მღვდლოების ხარისხის მისაღებად, — არა არს ღირსი მღვდლოებისა, და უღირსი თავის თანამდებობისა არის უბედური და საბრალო, ბევრი ქონებაც რომ ჰქონდეს ცხოვრებაში... ვისაც აქვს ყურნი სმენად, ისმინეთ...

დეკ. დ. ღამბაშიძე.




ნამღვილი ქრისტიანი წარმართთა შორის.

(ნამღვილი ამაგი)

დიდი ხანი არ არის, რაც ევროპიელ სახელმწიფოთა შეერთებული ჯარები ჩინეთს შეესივნ, შურის საძიებლად იმ წინააღმდეგობისათვის, რომელიც ჩინელებმა გაუწიეს ევროპიელთ. თოფითა და ტყვია-წამლით შესყული ჯარები იმ მიზნით იყვნენ გაგზავნილნი, რომ ამ ჩამორჩენილსა და ველურს ქვეყანაში უნდა შეეტანათ ქრისტიანების სხივი და ძალმომრეობის მოსპობა. და თვითონ კი ისეთს ევრაგობასა და უსამართლოებას სჩადიოდნენ თავის საქციელით, რომ ამ არა-ქრისტიან ჩინელებს უკვირდათ, ნუ თუ ესენი უნდა იყონ ქრისტიანებად წოდებული ხალხიო?! მართალია, ჩინელებმა რამოდენიმე მისსიონერი პატრი მოჰკლეს, რამდენიმე გაქრისტიანებული ჩინელიც დახატეს, მაგრამ ისეთმა გულკეთილმა და ბუნებით მშვიდმა ხალხმა, როგორც ჩინელები არიან, თუ კი ასეთ სასტიკ ღონისძიებას მიმართა, უთუოდ უნდა ყოფილიყო რაიმე საამისო საფუძველი. ჩვენ, რასაკვირველია, სულ სხვანაირად გვიხსნიან ჟურნალ-გაზეთები ამ ამბებს, მაგრამ განა ეს დასაჯერებელია? როდესაც ჩვენ თვალის წინ მომხდარ ამბებზე ვერა ვპოულობთ მათში სინამდვილეს, ასეთ სიშორეზე მყოფ ქვეყნის შესახებ რაღა მართალი უნდა იქნეს შიგ?!.

რაც უნდა იყოს, ჩვენ ამის გარჩევაში ვერ შევალთ ეხლა—მაგრამ ეს კი ყოველ ექვს გარეშეა, რომ რომ ჩინელები არც ისეთი დანაშაულები იყვნენ, როგორც ეს გააზვიადეს იქ შესულიმა ევროპიელებმა. ყველა ამბობს ძალიან გულკეთილი, პატიოსანი, მშრომელი და ზნეობრივი ხალხი არისო, ოღონდ ჩამორჩენილი არიან, ძველ ცხოვრებას მისდევენ და უცხოელებს მტრულად უყურებენო. ეს კი ავიწყდებათ, რომ თვითონ ევროპიელები-კი ერთი-ერთმანერთს ძალიან მოყვრულად უყურებენ?! შეიძლება არ ამყლავნებდნენ ცხადად თავის ზიზღს—მაგრამ საქმით ხომ ვხედავთ, რომ ერთი-მეორეს არ ჰზოგავენ და სამარესაც უთხრიან! მაგრამ სხვის თვალში ბეწვის მაძიებელთ თავისაში დვირეც ავიწყდებათ.



გარდა ამისა, ვსტკვათ ისინი საწუნარნი არიან და ნაკლოვანი. განა მათ ჭკუის სასწავლებლად წასულთ ვულის შემხარავი სასტიკი ზომები უნდა ეხმარათ? ზნეობის შეტანა ხალხის ხოცვითა და მტარვალებით ვის გაუგონია? ჟურნალ-გაზეთობა მრავალ მაგალითს იტყობინებოდა ევროპიელ ჯარის კაცთა მიერ ჩინელებზე მივლენილ მტარვალეებისას. თვით ევროპიელი მწერლებივე ამბობდენ, რომ ჩინელებს თავის საქციელით ისეთი თავ-ზარი დასცეს ევროპიელებმა, რომ ყველას საზიზღრად მიანიხსნებდა მათი ხსენებაც-კიო. საამისო მაგალითები მრავლისაგან უმრავლესი იყო მოთხრობილი. სხვათა შორის, ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი:

„რაც უფრო უკვირდება ადამიანი იმ მრავალ უბედურებას, რომელიც მოჰყვა სამწუხარო ჩინეთის ომს, მით უფრო პატივისცემის გრძობით ივსება ადამიანი ჩინელებისადმი, რომელთაც უხვად გამოიჩინეს მაგალითები სათნოებისა და სიმშვიდისა, რომელიც არ იქნებოდა მეტი ჩვენ ჭკუის სასწავლებლად.

დასამტკიცებელ საბუთად მოვიყვან მხოლოდ ერთს ათას მაგალითიდან, ერთი საბრალო ჩინელის სიკვდილს, რომელიც მოუკლავს მანჯურიაში ერთ ჯარის კაცს, მას შემდეგ როდესაც ზავი გამოცხადდა და როდესაც ქალაქის მკვიდრნი მშვიდობიანად დასეირნობდენ ქუჩაში“. შემდეგ მოგვითხრობს ამბავს რუსულ გაზეთ „პრიამურსკი კრაი“-დან გადაბეჭდილს უცვლელად:

მიეუ (ჩინელის სახელია) მიღოდა თავისთვის ქუჩაზე და შეხვდა უცებ ერთ ჯარის-კაცს. ჩინელმა მიაწოდა რაღაც სავაჭრო, რომელიც მას ხელში ჰქონდა, მაგრამ მან საპასუხოდ აიღო და ტყვია მიარტყა მუცელში.

მა-მა (ჩინელი გლეხი) გასისხლიანებული დაეცა მიწაზე, ჯარის-კაცმა-კი მოუსვა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

საბრალო ჩინელი მიუყვანიათ საავადმყოფოში, სადაც რუსის მოხელეები შედგომიან გამოძიებას.

—კარგად დაინახე ის ჯარის-კაცი, რომელმაც შენ დაგჭრა? ჰკითხა მას გამოძიებელმა.

—როგორ არა, დავინახე, რადგანაც ჩვენ ერთად ვლაპარაკობდით, სანამ იგი თოფს მესვრიდა.

—შეგიძლია გამოვიცნო, რომ გაჩვენებოთ ბევრი ჯარის-კაცები ერთად?

—შემიძლია გამოვიცნო, მაგრამ არ ვიხამ-კი ამას.

—რატომ არ იხამ?

—ეს ეს არის, უნდა მოვკვდე და მინდა ვაპატიო მას, რომ უფრო წყნარი სიკვდილი მეწიოს... რა საჭიროა, რომ ორი ადამიანი დაიღუპოს, როდესაც მხოლოდ ერთი ვარ გაწირული... თანაც ყოველთვის შეიძლება შესცდეს კაცი და ვინ იცის, ამნაირად ეგებ სულ უდანაშაულო კაცი დასაჯოთ!

გამომეძიებელი მაინც მიეძალა მა-მას, რომ როგორმე გაეადვილებინა დამნაშავეს მოძებნა.

—ეს უთუოდ საჭიროა მართლ-მსაჯულები-სათვის, უპასუხა გამომეძიებელმა, და ცდილობდა დაერწმუნებინა ჩინელი.

—მერე რაღად გესაჭიროებათ მისი დასჯა, როდესაც მე მისთვის შემინდვია... მე მიყო ცული საქმე და მევე შემინდვია მისთვის.

გამომეძიებელი მაინც არ დაჰყაბულდა ამას.

—თუ დაუსჯელი დარჩა, მაშინ შეუძლია ხელ-ახლად ჩაიდინოს მაგვარივე საქმე—უთხრა გამომეძიებელმა.

აჰ, არა, მე თუ-კი შევუნდობ მას, ის არასოდეს აღარ მოკლავს არავის, სთქვა დარწმუნებით მა-მამ... ის აღარავის მოკლავს, რადგანაც შენდობილი იქნება!

გამომეძიებელი მაინც არ დაჰყაბულდა ასეთ სახარებისებურ მოსაზრებას—ბუღდას მიმდევარ ჩინელისას. უბრძანა შემოეყვანათ და გაეტარებიათ დაჭრილის წინ ბევრი ჯარის-კაცი, რომელთა რიცხვში უნდა ყოფილიყო ალბად ამ ჩინელის მკვლელიც.

ჩინელი მა-მა მისჩერებოდა ყველას, მის წინ გატარებულს და იმეორებდა:

—არა, ეს არ არის, ეს არ არის.

ბოლოს მოაწია დამნაშავეს ჯერმაც, რომელიც გაუსწორდა დაჭრილს.

მა-მა დიდხანს მისჩერებოდა მას და შემდეგ დაეკითხა გამომეძიებელს:

—მერე რას უზამთ მას, ვისაც მე გამოვიცნობ ჩემ მკვლელად?

—მას გარდაუწყვეტენ მალნებში მუშაობას (კატორღას).

არა, უთხრა მა-მამ, არავის არ დაეწამებ ბრალს... შეიძლება შევსცდე... თანაც მინდა შევუნდო, რომ უფრო გამიადვილდეს სიკვდილი.

ამის შემდეგ გამომეძიებელმა დაშინებას მიმართა:

—მე მთავრობის წარმომადგენელი ვარ, სთქვა მან, შენ უნდა დაგვისახელო დამნაშავე, მე გაიძულე ამის თქმას.

—მე არ მინდა ბრალი ვინმეს დავსდო, გაიმეორა მა-მამ, მაგრამ რადგანაც შენ ამას მაიძულებ, ეს შენი საქმეა: მაშ გეტყვი, რომ ის ნაყვავილარი ჯარის-კაცი, რომელიც შენ უკანასკნელად მიჩვენე, ჰგავს იმას, რომელმაც მე დამკრა... თუ ის იმ ადგილს იყო, სადაც მე დავიჭერი, უთუოდ იგია ამის ჩამდენი.

ამის თქმასთან ერთად საბრალო ჩინელმა დაპკარგა გრძნობა, შემდეგ მოუვიდა კრუნჩხვა და საშინელ ტანჯვაში განუტევა სული.

სწორედ ძნელი წარმოსადგენი ამბავი არის, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა ამისი სინამდვილე, რადგანაც იგი არის ამოღებული მანჯურის რუსის მოხელის ოქმიდან, ესე იგი იმ გვარის საბუთიდან, რომლის სინამდვილეში ყველას შეუძლია დარწმუნდეს.

რასაკვირველია კანონს ამ შემთხვევაში ვალად ედება, დაუსჯელად არ დარჩენილიყო ამგვარი მხეცური საქციელი იმ ჯარის კაცისა, მაგრამ მეტის-მეტად ტრადიკულია ამგვარი სურათი, როდესაც მართლ-მსაჯულების მოქმედება აშფოთებს უკანასკნელ წუთებს ამ ჩინელი გლეხისას, რომელსაც უნდოდა ისე მომკვდარიყო, რომ თავის მკვლელისათვის შეენდო?

რამდენი ქრისტიანი ვერ სწადის ამგვარ რამეს!“

და მართლაც, რამდენი სულ-გრძელება, სათნოება, კაცთმოყვარება და გულკეთილობა იხატება ამ ზემოხსენებულ ჩინელის საქციელში? ნუ თუ წარმართი უნდა ერქვას ასეთ ადამიანს და არა ქრისტიანზე უფრო უქრისტიანესი? რამდენისათვის ჯკუის სასწავლებელ მაგალითს უნდა იძლეოდეს ეს საქციელი შესანიშნავის ჩინელისა! ჩვენს წამხდარ დროში, უბრალო ნაწყენობასაც-კი არ იჭირვებს ადამიანი, რომ შური არ იძიოს და მრავალი

სათები თავის მოყვასის საწინებელ გეგმებზე არ დახარჯოს—და ვინ იქნება ისეთი სულგრძელი, რომ თავის მტერს სასიკვდილოდ დაქრილმა შეუნდოს?! არა თუ სასიკვდილო ქრილობას, უბრალო განაფხაქ ქრილობისათვისაც-კი წამალზე აღრე ექიმს მოწმობას სთხოვენ და მსაჯულთან საჩივლელად გარბიან...

აი, რა მაგალითებს იძლევა ის ქვეყანა, რომელსაც წარმართ და ჩამორჩენილ ქვეყანას ეძახიან, და სადაც მისიონერებს სურთ შეტანა ქრისტიანობრივი ზნეობისა.

ჩვენ-კი გვგონია, იქიდან რომ წამოიღებდენ ჯკუის-სასწავლებელ მაგალითებს და თვითონ დაწინაურებულ ხალხებს გარდასცემდნენ მისაბაძავად და შესათვისებლად—უფრო კარგი იქნებოდა და სინამდვილესთანაც დაახლოვებული.

ესლა რომ განვსაჯოთ კარგად, ნუ თუ უსამართლოება არ არის, რომ იმ კაცის მკვლელს ჯარის კაცს სახელად ქრისტიანი ერქვას და მის უდანაშაულო მსხვერპლს ჩინელს-კი—წარმართი? აი ნამდვილი უცნაურობა რაშია და როგორ დაშორებული ვართ ქეშმარიტ სახარების სიტყვებს და ნამდვილს ქრისტიანობასაც—თუმცა თავი პირველ ქრისტიანებად მოგვაქვს...

პ. ლ.



უწმ. სინოდის ობერ პროკურორის 1898 წლის ეოგლად უქვეშევრდომილესის ანგარიშიდან ამინაღუბი ნარკვევა.

საქართველოს საქსარხოსოში მართლ-მადიდებლების მდკმარეობა. ყველა მართლ-მადიდებელ სამრევლოთა რიცხვია საქართველოს საქსარხოსოში—1519. ეკლესიები იყო: საკრებულო—27. შტატისა სამრევლო—1519, ზედმიწერილი—722, კარის და სასწავლებლებისა—58, სასაფლაო—54, სამისიონერო—2, სამძღვრის სადარაჯოთა—4, გზათა სამინისტროსი—1, ნიშები და სამლოცველო სახლები—12, და სრულიად—2408.

საქართველოს საქსარხოსოს მართლ-მადიდებელი მცხოვრებლები სულ—1.280,493 სულია.

სხვა სარწმუნოების აღსარებათა და განდგომილთაგან მართლ-მადიდებლობას შეუერთდნენ: ა) ქრისტიანობრივი სარწმუნოების აღსარებათაგან: სომეხ-გრიგორიანთაგანი—8, რომის კათოლიკეთაგანი—7 და ლიუტერანთაგანი—7; ნესტორიელები—2,699 და ძველ წესის მიმდევართაგანი—5; ბ) არა ქრისტიანთაგან: მაჰმადიანი—45 და ებრაელი—23.

განათლება საქართველოს საექსარხოსოს სხვა-და-სხვა ერთა შორის ძლიერ მდებარე საფეხურზე სდგას,—გაუნათლებლობა და მრავალ ენოვანობა მეტად ხელს უშლის ამ ერთა შორის ქვეშარიტის განათლების და კეთილ ქრისტიანულ ჩვეულებათა გავრცელების საქმეს.

ხსენებულ მიზეზის გამო საქართველოს სამწყსო სარწმუნოების და ზნეობის მხრით, საქართველოს ყოვლად სამღვდელი ექსარხოსის აზრით, იმყოფება თითქმის ერთს წერტილზედ, უმოძრაო გაჯიუტებაში და მას არა აქვს ლტოლვილება განათლების მიმართ. ამასთანავე იგივე სამწყსო იცავს თვისს თუმცა ძველს, მაგრამ აწყყო დროში ყოველს მნიშვნელობას მოკლებულს, გარდმოცემათა და დიდის სიფრთხილით ინახავს მემკვიდრეობით გარდმონაცემ ველურ ჩვეულებათა. მართლ-მადიდებელი და ადგილობრივი მკვიდრი მცხოვრებლების უმრავლესობა საქართველოს საექსარხოსოსი ვერ გამოსულა ჯერეთ სარწმუნოებრივ გაუნათლებლობისა და ზნე-ჩვეულებათა ველურ მდგომარეობიდან. მდებარე ხალხი იშვიათად დადის ეკლესიებში, ერთგულად არ ასრულებს სინანულის და წმიდა ზიარების მოვალეობას, თუმც ნათლავს თავისს ბავშვებს, მაგრამ საიდუმლოებს უცქერის როგორც საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის საჭირო საშუალებათა და პირობათა, რომელნიც გამოსადგენი არიან ჩვეულებრივ ქვეყნიურს ცხოვრებაში. კერძოდ, რაიც შეეხება ფშავლებს, ხევსურებს, თუშებს, ოსებს და სხვა წვრილმან ხალხებს კავკასიისას, რომელნიც სცხოვრობენ ქართლ-კახეთის ეპარქიაში მათს სარწმუნოება-ზნეობითს ცხოვრებაში ფესვი აქვს გადგმული ბევრს ისეთს ნაკლულევიანებას, რომელიც თხოულობს დინჯურ ბრძოლას არა თუ მხოლოდ სასულიერო მთავრობის, არამედ სამოქალაქო გამგეობის მხრით.

სამწუხაროდ, ძლიერ ბევრს შრომას თხოულობს სასულიერო წოდებაში განათლების და წო-

დებისადმი მომზადებულობის გავრცელება. 1726 დეკანოზსა და მღვდელთაგან საექსარხოსოსი სულ 13 პირია სასულიერო აკადემიაში კურს დამთავრებული და 258 სემინარიელი, დანარჩენები კი არიან სასულიერო სასწავლებლისა და შინაურ განათლებისანი, და ზოგიერთს არც არავითარი განათლება არ მიუღია. უკანასკნელნი ემზადებოდნენ სამწყსო მოვალეობისადმი ან მონასტრებში, ან თვით სამრევლოებში, სადაც ისინი მსახურებდნენ მდებარე თანამდებობაში. ამ სამღვდელი მსახურთა ცოდნა სარწმუნოებრივის მხრით მეტად შემოზღუდულია და არა იშვიათად იმაში მდგომარეობს, რომ მათ შეუძლიათ საეკლესიო ღვთის მსახურება და საიდუმლოები შეასრულონ. არიან მღვდლები, მაგალითად აფხაზეთში, რომელთაც თვისის სამწყსოს ენა არ იციან, ამის გამო მათ არ ჰქონდათ შეძლება ექადაგნათ ღვთის სიტყვა თვისს მრევლთათვის, რომელნიც ამ მიზეზით ვერ იცნობენ დასაბამითა ქვეშარიტებათა ქრისტიანობრივის სარწმუნოებისას.

მოძღვრების ასეთს სატირალს მდგომარეობას საქართველოს საექსარხოსოსი ადგილობრივი მღვდელ-მთავრები ჯეროვანს ყურადღებას აქცევენ, და მიიღებიან მათ მიერ ზომები სასულიერო წოდების მიერ ღვთის სიტყვის საქადაგებლად და ღვთის-მსახურების გარეშე საუბრების საწარმოებლად და აგრეთვე დასაარსებლად საეკლესიო სამრევლო სკოლებისა, რომელნიც აქ განსაკუთრებით სასარგებლონი არიან, რადგან ხელს უწყობენ სარწმუნოება-ზნეობრივის განათლების გავრცელების საქმეს. 1898 წელში საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლები საექსარხოსოსი იყო სულ 700. საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სწავლოადენ 13,028 ვაჟი და 3,925 ქალი, ხოლო წერა-კითხვის სკოლებში—4,444 ვაჟი და 1,839 ქალი.

**უზრუნალ-გაზეთებიდან.**

ერთ ინგლისურ გაზეთს შემდეგი ცნობები მოჰყავს: ინგლისის სამხედრო სამინისტრომ დიდ-ძალი ფული დახარჯა სამხედრო-გარეთ ზარბაზნების, სამხედრო მასალისა, ცხენებისა და ჯორების სასყიდლად. 1899 წელს დახარჯვია 98,644 გირვანქა სტერლინგი; 1900 წ.—321,826 გირ. სტ.; 1901 წ.—899,355 გ. სტ.; ეს ციფრები ცხადად გვიჩვენებს, რომ უცხოეთის ზარბაზნის ქარხნებისა და მეჯოგეებისათვის კაი ხეირი მიუცია სამხრეთ-აფრიკის ომს.

ამათზე არა ნაკლებ გაუხარნიათ თოფ-იარაღის ქარხნის პატრონებს თითონ ინგლისშიაც: ამ დღეებში ბირმინჰამის თოფ-იარაღის ქარხნის აქციონერთა წლიურ კრებაზე დაადგინეს: ყოველ აქციონერს 20% მოგება მიეცესო. კრების თავმჯდომარემ კოლონიების მინისტრის შვილმა, ჰერბერტ ჩემბერლენმა გამოაცხადა: მას აქეთ, რაც ჩვენი ქარხანა დაარსდა, ასეთი დიდი მოგება არას დროს არა გვექონიაო; წარსული ივლისიდან ერთი-ორად მეტს საქმეს ვაძლევს მთავრობა და ამს იქით უფრო მეტსაც შემოგვიკვეთავსო.

სამხრეთ-აფრიკის ომმა ბურებს გარდა, 74,000 ახალგაზდა ჯანითა და ღონით სავსე ინგლისელი კაცი იმსხვერპლა, 200,000 გირ. სტერ. მეტი შთანთქა; ინგლისის ერი, მეტადრე მუშა ხალხი დიდი გადასახადებისაგან მთლად გაიყვლიფა, მთელი ქვეყანა შეაწუხა სამხრეთ-აფრიკის ომმა. მართო იარაღის ქარხნის პატრონებს და მეჯოგეებს ჰქონიათ ხეირი. მთელი ინგლისი ფიქრსა და დარდს მისცემია. მექარხნეები კი თავიანთ წმინდა მოგებას ანგარიშობენ და ჯიბეში იზნრიალებენ. რა ენადვლებათ, რომ სამხრეთ-აფრიკაში ინგლისის ახალგაზდობა ათი-ათასობით სწყდება.

სწორედ ამაზე უთქვამს ქართველს: «ანაღვლე ბუღიას, ბზე ქარსა, პური ურიას!»

\* \*

მკითხველს ესომება, ამას წინად შეერთებული შტატების ზოგიერთმა მოქალაქემ ქალაღი დასწერეს და მოითხოვეს, ერთი კაცის მკვლელის — გვარი აღარ გვახსოვს — გვამი ზღვაში გადავაგლოთ, თორემ ამერიკის მიწას წაჰპილწავსო.

გაზეთმა «იგზამენერ»-მა ამისთანა პასუხი მისცა ამ ვაჟბატონებს:

გ ი გ ლ ი მ ი თ ე კ ა


„კარგი, ცოტა გული დაიდინჯეთ, საქმე ნუ გააჭირეთ, ნურც მაგრე გაიზვიადებთ თავს, მილიარდერების ავან-ჩაენებო! ყველამ კარგად იცის, თუ ვინ პილწავს და ვინ მურტლავს ამერიკის მიწა-წყალსა! თქვენი დღეც დათვლილია, მალე აგიგებენ წესსა და ანდერძს. მაგრამ თქვენ გვამსაც კი არავინ გადაადგებს ზღვაში. ნუ გავიწყდებათ, ამერიკის კანონის ძალით, ყოველი დასჯილი დამნაშავეს გვამი, თუ ნათესავი ჰყავს ვინმე, იმათ უნდა დაასაფლავონ, თუ არა და, მთავრობამ თავის ხარჯით ქალაქის სასაფლაოზე უნდა მიაბაროს მიწას. ასე, რომ თქვენი საზიზღარი სურვილი ჩაილულის წყალს დაღვეს“.

\* \*

ვინ არ იცის, რომ ეხლანდელი სკოლა ჩვენში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოზარდთაობის მომზადებას მხოლოდ სასწავლო საგნების შესწავლის მხრივ, სრულებით არ ზრუნავს შექმნას იგი აღამიანი — წვერი საზოგადოებისა, არ სცდილობს განუეითაროს მას საზოგადოებრივი ინსტიტუტები:

„ჩვენი საზოგადოება, ამბობს ქ. ბ. ვახტეროვისა უზრუნალ „ობრაზოვანიეში“, საკვირველის გულ-გრილობით ეკიდება ამ სერიოზულ კითხვას და მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს ისმის აქა-იქ ბავშვების საერთო თამაშობაზე და საერთო ექსკურსიებზე ლაპარაკი. საზღვარ გარეთ კი მოზარდთაობის აღზრდის ამ მხარეს დიდ ყურადღებას აქცევენ. ინგლისში, ამერიკაში, საფრანგეთში ათასობითაა ბავშვების კლუბები და საზოგადოებები. 1899 წ. საფრანგეთში ექვსი ათასამდე ამისთანა საზოგადოება ყოფილა. ასეთის საზოგადოების დაარსება მეტად მარტივად ხდება: მასწავლებელი შეკრებს მოწაფეებს და წინადადებას აძლევს შეადგინონ საზოგადოება; შემდეგ შეიმუშავენ წესდებას, ამოირჩევენ თავმჯდომარეს, ბიუროს, დანიშნავენ პატარა საწევრო გადასახადს, რომ რაც შეიძლება მეტმა რიცხვმა მიიღოს მონაწილეობა. საზოგადოების მიზანია — გართობა, თვით-განვითარება, გიმნასტიკა, სეირნობა, წარმოდგენების გამართვა და სხვა. უფროსები სცდილობენ, რაც შეიძლება, ნაკლები მონაწილეობა მიიღონ მოსწავლეების სა-





ზოგადოების საქმეებში, ნებას აძლევენ პატარა მოქალაქეებს თავიანთ სურვილზე და გემოზე მოაწონ საზოგადოება. ამგვარ საზოგადოებათა მნიშვნელობა დიდია. ფერსანის სიტყვით, ბავშვები სწავლობენ თანხმობით მოქმედებას, ერთმანერთის პატივისცემას, ერთი-მეორის აზრის შეწყნარებას, სხვის სასარგებლოდ თავის თავისუფლების შეკვეცას, ერთის სიტყვით ისინი აქ იღებენ სამოქალაქო ცხოვრების პირველ გაკვეთილებს“.

ჩვენ სკოლებში კიო, სამართლიანად შენიშნავს გაზეთი „ნოვოსტი“, არა თუ ამის მსგავსი არა არის რა, ბავშვები ერთი წამითაც კი არ არიან თავისუფალნი, რომ შესძლონ ზედამხედველის დაუსწრებლად რამეზე ილაპარაკონო.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* როგორც შევითქვით, ბერლინის უნივერსიტეტს განზრახვა აქვს დაიარსოს ქართული ენის კათედრა. ამ ჟამად ბერლინში იმყოფება ჩვენი მამულიშვილი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც საპროფესოროდ ემზადება. ამ ჯავახიშვილის საშუალებით ცოტად თუ ბევრად გასცნობია ქართულ ენას საეკლესიო ისტორიის პროფესორი ჰარნაკი, რომლის შუამდგომლობითაც ბერლინის უნივერსიტეტს გადაუდვია 10,000 მარკა ქართულ ენის მასალის შესაძენად. ბერლინის უნივერსიტეტი ეხლა ეძებს ისეთ მომზადებულ სპეციალისტს, რომელსაც შეეძლება ქართულ კათედრის დაკავება. ჯერ-ჯერობით ქართულ ენას სწავლობენ ჯავახიშვილთან ერთად პროფესორი ჰარნაკი და ერთიც გერმანელი სტუდენტი.

\* \* ფრანკოზი მოგზაური ბ. ბარონ დეზაი დრო და დრო დადის ჩვენ საქართველოში და ყველა ხალხის ცხოვრებას იკვლევს. ეხლა-ხან ერთი წიგნი გამოსცა ამ სათაურით: „თათრებთან“. სხვათა შორის ბარონ-დეზაი ამბობს, რომ თათრები სრულებით არ არიან ისეთი ცუდი ხალხი და მტარვალეები, როგორც ხმები არის მათზე დაყრილიო. საქართველოს სამ თემში—ქართველები, სომხები და

თათრები დიდი ხანია რაც ერთად სცხოვრებენ და უერთმანერთოდ მათი ცხოვრება სახელმწიფოსათვისაც საზარალო იქნებაო. მაგრამ უბედურება ის არისო, რომ თათრები და ქართველები მიწა-წყალს ჰყდიან და საბოლოო საცხოვრებელი ღონე და ნიადაგი ესპობათო. თათრები სათათრეთში აპირობენ წასვლას, მაგრამ ქართველები სადღა მიდიანო! არ შეუტყვია ბარონ-დეზაის, რომ ქართველები როცა მთლად გაჰყდიან და დაავირავებენ ბანკებში მამულებს, მთვარეზე აპირებენ გადასვლას, რადგან ზოგიერთი სწავლულების გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ მთვარეზე ხალხი ცხოვრებს და თავისუფალი ადგილიც ბევრიაო!.. ვინ იცის, იქნება ბანკებიც იქნეს იქ დაარსებული და მამულების დაავირავება უფრო საადვილო იქნეს!.

\* \* ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტის სესსიას ქუთაისში განუხილავს საქმე დ. ქიათურის სამრეწველო ბოქაულად ნამყოფის შტაბს-კაპიტანის ნესტორ არდიშვილისა, რომლისათვისაც გარდაუწყვეტია ზოგიერთ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 2 1/2 წლით გაგზავნა. არდიშვილს ჰბრალდებოდა სამსახურის დროს სხვა-დასხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენა.

\* \* ამ ბოლო დროს ქუთაისის გუბერნიიდან დიდ-ძალი კვერცხი და ქათამი გააქვთ საზღვარგარედ, განსაკუთრებით მარსელს, ჰამბურგს, ლონდონსა და ბერლინში 1059 სოფელი გზავნის საზღვარგარედ 1.200,000 მანეთის კვერცხსა და ქათამს. გასაგზავნი საქონელი უმთავრესად თავს იყრის სამტრედიაში (800,000 მანეთის). ამ ბოლო დროს ფასები დაეცა, რადგანაც ეს მხარე ხალხის მეურნეობისა თან და თან ვითარდება გუბერნიაში, ფრინველების მომშენებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას გადაუწყვეტია იშუამდგომლონ სათანადო მთავრობის წინაშე მოძრავ გამოფენების, სამაგალითო საქათმეების, კურსების და სპეციალურ სკოლის გამართვა-მოწყობის შესახებ.

\* \* გამოფენის გახსნის დღიდან 18 ოქტომბრამდე განოფენაზე ყოფილა დღისით—119,269 კაცი და საღამოთი 20,900. ამ ბოლოს დროს საღამოობით გამოფენაზე ძალიან ცოტა ხალხი დადის. მაგ. 17 ოქტომბერს ყოფილა სულ 87 კაცი და 18-ს მხოლოდ 13.

\* \* \* გარდასახადთა ინსპექტორს მოუთხოვია გამოფენაზე მოვაჭრეთათვის საპატენტო გადასახადი. ამის გამო ბ. კომისარი შეჰკითხებია სახაზინო პალატის მმართველს და შემდეგი პასუხი მიუღია: გამოფენა და ექსპონატები თავისუფალია ყოველგვარ გადასახადისაგან. რაც შეეხება კერძო სავაჭრო დაწესებულებათ გამოფენის ტერიტორიაზე (საკანდიტერო, ლუდხანა, ყავახანა, საჩაე და სხვა), ისინი ჩვეულებრივ წესს ემორჩილებიან და შესაფერ გადასახადს იხდიანო.

\* \* \* ბ-ნთ კარგარეთელს და კავსაძის მეთვალყურეობით შემდგარ ქართულ მგალობელთა გუნდს გამოფენის გასართობ განყოფილების გამგე კომისიისაგან არ მიუღია ჯამაგარი სულ 667 მან.; ბ. კარგარეთელს განზრახვა აქვს, თუ კომისიისაგან სრული კმაყოფილება არ მიიღო, საჩივრით მიმართოს მომრიგებელ-მოსამართლეს.

\* \* \* ამერიკაში ქალაქ კალამაზის ერთმა მრევლმა მღვდლად და მქადაგებლად აირჩია ქალი კარილინა ბერტლეთი. ეს ქალი ჯერეთ კორრესპონდენტად ყოფილა, მერე გაზეთის რედაქტორად; ბოლოს შეუსწავლია ღვთის-მეტყველება და ისე მშვენივრად ქადაგებდა თურმე, რომ ვერც ერთი მქადაგებელი მღვდელი ვერ შეედრებოდა. ამისათვის მრევლმა აირჩია იგი მქადაგებლად და მღვდლად.

\* \* \* ახირებული ხალხი კი არის სწორედ ამერიკელები თავიანთ მღვდლებით. ერთმა მღვდელმა, რომლის ეკლესიაშიდაც ხალხი არ დადიოდა, გამოაცხადა, რომ ვინც მის ეკლესიაში მივა სალოცავად, ნალოცვებს ან ნაწირვებს უფასოდ მიღებს თითო მოხარშულ კვერცხს, ან „პიროუკს“, პატარა ხორცის ნაჭერს პურით, ან მოხარშულ კაპუსტას ან შემწვარ კართოფილს, ან პატარა ლორის ნაჭერს პურით და სხვა ამისთანებს. ეს საქმეები გაწყობილი ქონებია ერთ ადგილზე ეკლესიაში და წირვა-ლოცვის შემდეგ დაურიგებენ ხალხს. ეს უნებლიეთ მოგვგაონებს ერთ სომხის გაზეთის რედაქციას, რომელმაც გამოაცხადა, რომ ვინც გაზეთს იყიდის შაურად, ის თითო პიროუკს მიიღებს უფასოდ!..

\* \* \* 10 ნოემბრისთვის დანიშნულია არა ჩვეულებრივი კრება ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა. კრებაზე წაკითხული იქნება წინამძღოლისაგან საიუბილეო დღესასწაულობის ანგარიში და ხელმწიფე-იმპერატორის რესკრიპტი. გარდა ამისა,

კრებას წარედგინება მოხსენება, რომელშიაც აღნიშნული იქნება ყოველივე ჩვენი საქორეობანი და გაჭირვება. იმედია, ქალაქის შემდგენელი კარგად შეისწავლიან ამ კითხვას და დაწვრილებით აღნუსხვენ ყოველივეს, რაც კი ჩვენი ერისთვის და არა ერთი წოდებისათვის არის საჭირო.

\* \* \* 4 ნოემბერს, დღით კვირას, სოფელ მათხოჯში ყოველად სამღვდლო ლეონიდი აკურთხებს დედათა სავანის ახლად აღშენებულს ეკლესიას. თუ ვინცობაა ცუდი ამიღებისა გამო ამ დღეს არ მოხდა ეკლესიის კურთხევა, მაშინ მომავალ კვირისათვის იქნება გადადებული.

\* \* \* კვირას, 28 ოქტომბერს, სოფ. მცხეთის ახლო, გორის ეპისკოპოსმა ყოველად სამღვდლო კირიონმა აკურთხა ბერ-მონაზონის დავითის მეცადინეობით განახლებული არმაზის ღვთის მშობლის პატარა ეკლესია. კურთხევას დაესწრნენ სემენარიის მეექვსე კლასის მოსწავლენი, სემენარიის რექტორი და მასწავლებელნი. მ. დავითს დახმარებას უწევს ბ. ჩხარტ-შვილი, რომელსაც ადგილები ჰქონებია ამ ეკლესიის ახლო და თავის ხარჯით გზის გაყვანას აპირებს თურმე; ამ ჟამად იქ მისასვლელი გზა ერთობ გაფუჭებულია.

\* \* \* ამ წლის პირველ ნახევარში (იანვრიდან ივლისამდე) ამიერ-კავკასიის რკინის გზებს შემოსვლილია: 1) მგზავრებისაგან და საქონლის მსწრაფლ მატარებლებით გადაზიდვიდან — 1.329,200 მან.; 2) საქონლის ნელი მატარებლებით გადაზიდვიდან — 8.142,813 მან.; 3) სხვა-და-სხვა გადასახადი, რომელიც დაწესებულია საქონლის გადაზიდვის ტარიფის გარდა — 698,802 მან.; 4) სხვა-და-სხვა შემოსავალი — 451,662 მან.

\* \* \* კიევა. ეპარქიალურმა კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ეკლესიების ელექტრონით განათება შეუძლებელიაო. სჯულის კანონების მხრივ კრება არ შეხებია ამ საქმეს. კრებას შესაძლებელად მიაჩნია, საკრებულო ტაძრების ზოგიერთი ნაწილი კი განათდეს ელექტრონით, იმ პირობით კი, რომ საეპარქიო სანთლის ქარხნების სასარგებლოდ შესაფერისი თანხა შეიტანონ; კრებამ გადაჭრით დაადგინა, რომ ხომლებისა და შანდლების ელექტრონით განათება არ შეიძლებაო.



# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სასწავლებელსა და კეთილ- ყნობაზე.

ს ი ტ უ მ ა,

თქმული სოფ. ხაკაგაულში 23 ეპკენისთვის ეპკესის-  
ისა და სამრევლო შკოლის კურთხევის კამო.

ქრისტეს მოყვარენო მსმენელნო!

თუ ყველა არა, უმრავლესობა თქვენ შორის სიკოცხლის მომეტებულ ნაწილს ატარებს მინდორ-ველში და მთა-ტყეში. სიყრმიდგან მოკიდებული სიბერემდინ შრომობთ და მოღვაწეობთ თქვენს ვენახებში, სახნავ-სათესებში და ტყე-ყურეებში. ჯერ მზე ისევ მოსვენებაში, ისევ დილის ძილის განცხრომაში იმყოფება ხოლმე, რომ თქვენ, შეიარაღებულნი ბარ-თოხებით, წალდ-ცულებით, სახნის-საკვეთით, ურემ-მარხილით და სხვა ამ გვარებით გადიხართ გარეთ და სიკოცხლით აღსავსე ხომღვრით, ვაჟკაცური და გამამხნეველი ხმაურობით ტყობილობთ საღმრთო შრომა-ოფლის ღვრას. თქვენი ხმაურობა, თქვენი ვმირული მამაცობა სწრაფლ აღვიძებს და აფხიზლებს მთელ მიდამოს; მზეც, დარცხვენილი თქვენი სიფხიზლით, უხვად გიგზავნის თავისს მწვავ სხივებს და ცდილობს თქვენს მორევას. თქვენს მოღალვას და გალახვას. მაგრამ თქვენ კარგად გესმით დიდებულის მნათობის მუქარა და, რაც დრო გადის, უფრო ხელმარჯვეთ ეპყრობით საქმეს, უფრო უმატებთ ლომ-ვაჟკაცობას, მეტათა შრომობთ, მეტათ გულადობთ და მტკიცეთა გრწამთ, რომ გაიმარჯვებთ. მართლდება სავსებით ეს თქვენი საფუძვლიანი მოლოდინი: ყველა ჩუმდება, ყველა წყნარდება და იძინებს, თვით მზეც იღვეა და იპარება; თქვენ კი, შრომის ოფლში გაწურულნი, მხიარულებით ბრუნ-

დებით საღამოთი სახლში დასასვენებლად, რათა ხვალიც განაგრძოთ შრომა. ასე გაუთავებელ და განუწყვეტელ შრომა-ჯაფაში ატარებთ თქვენ სიკოცხლეს, ამას ანდომებთ თქვენ წუთი-სოფელს.

მაგრამ დავიჯეროთ ამისთვისაა ადამიანი ღვთისაგან გაჩენილი და დაბადებული ქვეყანაზედ? დავიჯეროთ კაცის ცხოვრების აზრი, დანიშნულება და არსებობის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მან განლიოს თავისი დღენი მხოლოდ ლუკმა პურის მოპოებისათვის ზრუნვაში, კუჭის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელ შრომა-ჯაფაში? ღმერთმა ნუ ქნას! ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ადამიანისთანა საბრალისი არავინ და არაფერი არ იქნებოდა, კაცის არსებობას არ ექნებოდა არავითარი აზრი, გონიერი დანიშნულება და მიზანი, ცხოვრება ჩვენი იქნებოდა ფუჭი და ამაო. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ეს ასე როდია. ქვეყნიერობა გაჩენილია ადამიანისათვის; კაცია მეფე და ბატონი სოფლისა, კაცი მბრძანებლობს და მფლობელობს მას, გარნა ეს მფლობელობა, ეს ბატონობა და მეფობა არ მოუპოვებია კაცს თავისი მხნე ვაჟკაცობით და გამსჯელობით; არა, იგი შემოსა ამ ღირსებით ყოველთა არსთა დამბადებელმა ღმერთმა. ყოვლად მოწყალე ღმერთმა დაასვა ადამიანს თავისი მსგავსების ბეჭედი, მან გახადა ეს თავისი ქმნილება თავისს ხატად და შთაბერა მას თავისი უკვდავი, გონიერი სული. აი ეს გარემოება უნდა ახსოვდეს მუდამ ადამიანს, ეს აზრი უნდა ჰქონდეს მას ამონქდეული გულის ფიცარზედ, ერთ წამსაც არ ავიწყდებოდეს, რომ იგი ცოცხლობს ღვთისაგან შთანაბერი სულით, წარმოადგენს ღვთის მსგავსებას და ხატს და ამით მოვალეა თავისი სიკოცხლე შესწიროს ღვთის სიყვარულს და პატივისცემას, მოვალეა თავისი სიკოცხლე შეალიოს ღმერთთან დაახლოებას სათნოებით და კეთილი საქმეებით, მოვალეა მუდამ უფროხოდეს და ეშინოდეს ყველა იმისი, რაც არ შეჰფერის, რაც დაამცირებს, რაც შეჰბლაღავს და შელახავს ღვთის ხატს, ღვთის მსგავსებას, რაც ავნებს და აწყენს ღვთისაგან მოცემულ სულს. მოკლედ რომ ვსტკვათ კაცის სიკოცხლის დანიშნულებას და მიზანს ამ ქვეყანაში შეადგენს მუდმივი და განუწყვეტელი შრომა-მხნეობა, ოღონდ ეს შრომა უნდა იყოს იმ გვარი, რომ მასში ცხადად, ცხო-

ველად და ყველასათვის მისახვედრად იხატებოდეს ერთის მხრით დიდება და მადლობის მეტყველება ღვთის სახელისა, ხოლო მეორე მხრით წრფელი და მძლავრი სურვილი კაცისა ღმერთთან მიახლოვებისა, პატიოსნების, სათნოების, ზნეობრივი სიფაქიზის და კეთილ მიმართულების შექმნით ნამდვილად ღვთის ხატად გახდომისა, ღვთის მსგავსებად გადაქცევისა. ესაა ჩვენი სიცოცხლის დანიშნულება, ამისთვის ჩაგვბერა ღმერთმა თავისი სული, ამისათვის დაგვიმორჩილა უფალმა ქვეყანა და სავსება მისი. ამ დანიშნულების სიცოცხლეში განხორციელებისა და მიმდევარობისა დაკვალად მივიღებთ ან საუკუნო ნეტარება-ბედნიერებას, ან დაუსრულებელ ტანჯვა-ვაებას.

გკონიათ წინათ, ან ეხლა ცხადად და ცხოველად გაქვთ, მსმენელნო, გამოხატული ეს აზრი? თქვენი ყოველ-დღიური შრომა-ჯათა იმაზეა მიქცეული, რომ შეიძინოთ ზნეობრივი სიკეთე, გაიწმინდაოთ სული და გული, შეიგნოთ ღვთის მცნება-ბრძანება, რომ სარწმუნოდ დაუდოთ იგი თქვენს ცხოვრება-მოქმედებას?


არა, ვგონებ, თქვენც დამეთანხმებით, რომ ეს აზრი ნაკლებად გაღონებთ თქვენ, ნაკლებად იზიდავს თქვენს ყურადღებას და, ლუკმა პურის შოვნის ფიქრით მოცულებს, აღარც კი გახსენდებათ იგი.

ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, თვით თქვენი სახლების მოწყობილება: რა გინდათ, რომ არ იყოს თქვენ სახლში, რომელი იარაღი გსურთ, რომ კაცმა არ იპოვნოს თქვენ ოჯახებში, მხოლოდ მეტად იშვიათია იმისთანა სახლი, სადაც იპოვება, სხვა რომ არა ვთქვათ, წმიდა სახარება, რომელიც უნდა ყველას მიგვაჩინდეს „ნათელ ფერხთა ჩვენთა (ფს. 118, 105). მთელი თქვენი მეცადინობა, გამკრიახობა და გამსჯელობა მიქცეულია დღეს იმაზე, თუ როგორ შეიძინოთ სხეულისათვის საჭირო სარჩო-საბადებელი და სულის საზრდოზედ ზრუნვა ფიქრადაც არ მოგდით, ან თუ მოგდით, არა ცდილობთ ფიქრი საქმედ აქციოთ, არ იღებთ არა გვარ ზომებს, რომ შეგვიძინოთ თქვენცა და თქვენ შვილებსაც დაუღვენელი სულიერი საზრდო.

უსაზღვროდ გახარებული ვარ, რომ გამოიჩინათ ქვეშაირიტი მამა და თავდადებული მწყემსი

— ხარაგაულის მრევლის მღვდელი რომანოზ დეკანოზიძე, რომელმაც, როგორც ხელად, მთელი თავისი ქონება შეაღია ამ ფართო, სინათლით სავსე და ყოველიფრით უნაკლოდ მოწყობილი სახლის აგებას იმ აზრით, რომ თქვენმა შვილებმა შეიძინონ მასში ღვთის საამო და სულთა თვისთა სასარგებლო ცოდნა. ისარგებლეთ, ძვირფასნო მსმენელნო, გულითად გთხოვთ და გვედრებით ჩემის მხრით, ისარგებლეთ ამ თქვენდა ღვთისაგან მოვლინებული კეთილი მწყემსის უხვი წყალობით. დაუმტკიცეთ ქვეყანას, რომ გესმით კაცის ცხოვრების უმთავრესი დანიშნულება და ძვირფასად მიგაჩნიათ იგი. ბეჯითად და მუყაითად აგზავნეთ ყველამ ამ ახლად ნაკურთხ სასწავლებელში თქვენი შვილები და გრწამდეთ, რომ აქ შექმნილი საღმრთო სწავლით აღესილნი, შემოიტანენ იგინი თქვენს ოჯახებში ღვთის მადლსა და კურთხევას, ქრისტიანულ სიყვარულს და ურთიერთის გულშემატკივრობას, სიმართლეს და პატიოსნებას. ამინ.

ენასკაზი ჯეონიდი



ს ი ტ უ ვ ა,

თქმული 30 სექტემბერს 1901 წ. გიორგი ღვთისძის ქართველიშვილის დაკმადვის წინ დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში.

ნეტარ არს გზა ეგე, რომელსა წარმართებულ ხარ შენ დღეს, რამეთუ აღგილი განსასვენებელი მიგვლის შენ.

სამწუხაროა სიკვდილი ყოველი ადამიანისა, მაგრამ უფრო სამწუხაროა იგი მაშინ, როცა მიტვალებული ჩვენი კეთილი და მახლობელია. ამისთვის, გავიგებთ რა სიკვდილს ჩვენის მოძმისას და საყვარელ ადამიანისას, მივეცემით ხოლმე დიდს მწუხარებასა და გლოვასა, ვიშსა და ვეებასა. ხანდის-ხან ჩვენი მწუხარება იმდენად დიდია, რომ ორში ერთსა ვრჩებთ და წრფელის გულით ვიტყვი ხოლმე: ან ეს რათ მოკვდა, ან ჩვენ რაღად დავრ

ჩითო, უმჯობესი იქნებოდა, რომ ჩვენც მასთან ერთად დავბოცოლიყავითო ან და—ნეტავი ჩვენ მომკვდარვიყავით და ის კი ცოცხალი ყოფილიყო. ამას გვალაპარაკებს ჩვენ არა ფარისევლური ანგარიში რაიმე, არამედ ჭეშმარიტი სიყვარული მიცვალებულისადმი, ვამბობთ ხოლმე წრფელის გულით და სულით. ერთი სიტყვით: სიკვდილი ჩვენი საყვარელის და მახლობელი არსებისა იმდენად თავშესაზარია, რომ ჩვენ თითქოს გვაფიწყდება კიდევ ვინა ვართ, ან რანი ვართ? ჩვენ გვაფიწყდება, რომ ჩვენა ვართ კაცი, სიკვდილის შვილი, მიწიდგან შექმნილი და მიწადვე მისაქცენი. შეიძლება სთქვას ვინმემ: ეს ასეც უნდა იყოს, მაშ სიკვდილს სიხარულით ხომ არ უნდა მივეგებნეთო, მაშ სიკვდილი საშიშარი აღარ ყოფილაო! თუ გამოვარკვევთ საგანს, თუ ანგარიშს მივცემთ ჩვენს ჭკუასა და გონებას, მაშინ მართლაც დაფრწმუნდებით, რომ სიკვდილი საშიშარული თუ არ არის, არც თუ საშიშარია! რა არის სიკვდილი, საიდგან და როგორ წარმოდგა იგი? ამ შეიდი ათასი წლის წინად ღმერთმა შექმნა კაცი ხატად თვისად, ხოლო მსგავსება ღვთისა თვითონ კაცს უნდა მოეპოვებინა და თუ იგი მოიპოვებდა მსგავსებას ღვთისას, მაშინ იგი შეიქნებოდა ხორციელადაც უკვდავი, მაგრამ კაცმა არ ინება თავიდგანვე შესდგომოდა იმ გზას, რომელიც მიიყვანდა მას ღვთის მსგავსებამდე,—არ ინება სულიერი შრომითა და ღვაწლით მოეპოვებინა ხორციელებრივი უკვდავება! იმან მოინდომა პირდაპირ გაღმერთება, მოინდომა ის, რაც მისთვის მიუწოდომელი იყო, მაგრამ ის საწადელს ვერ მიწვდა, დაკარგა კი მშვიდობა სულისა და სიმრთელე სხეულისა, დავარდა და დასწეულდა. ამის შემდეგ რაღა საჭირო იყო სწეულისა და ავადმყოფი კაცის ხორციელებრივი უკვდავება, ან ამისთანა უკვდავება ემჯობინებოდა კი სიკვდილს?! დიალაც რომ არა, და ამისთვის ყოვლად მოწყალე ღმერთმა კვალად მოუფლინა კაცს მოწყალეობა თვისი და უბრძანა: ვინაიდგან შენი ხორციელებრივი უკვდავება სულიერი და ხორციელი ტანჯვა იქნება შენთვის, ამისათვის მიწა ხარ და მიწადვე მიიქცეო. აი ღლე, რომლიდგანაც სიკვდილი ფლობს ყოველთა კაცთა ზედა და ყოველი და ყოველივე ემორჩილება მას.

როგორც ხედავთ, საყვარელნო, სიკვდილი არამც თუ სავალდებულო ყოფილა კაცისათვის,

არამედ საჭირო და სანატრელიც კი ყოფილა მისთვის. მაშ რაღად ვტირით და რაღად ვგოდებთ? იქნება ვტირით და ვგოდებთ იმისთვის, რომ გვეშინია: ვაჲ თუ საუკუნოდ დავკარგეთ ჩვენი ძვირფასი და საყვარელიო, ვაჲ თუ ველარ გვეღირსოს მისი ნახვაო? დიახ! ყველაზედ საშიშარი და შესაზარი სწორედ რომ ეს შიშია! თუ მოყვასი და ძვირფასი ჩვენი ვინმე გვმორდება საუკუნოდ, თუ იმას ვერასოდეს ველარ ვიხილავთ, თუ ის დაიკარგა ჩვენთვის სამარადისოდ, თუ ის შეუერთდა მიწას ისე, როგორც კვამლი ცეცხლისა შეუერთდება ხოლმე ჰაერსა და იქ ქრება, მაშინ სიკვდილზედ უსაშინელესი და კაცზედ უუბედურესი აღარა ყოფილა რა ქვეყანაზედ. მაგრამ, არა, ამის წინააღმდეგია თვით ჭკუა და გონება კაცისა, რომელიც ვერ შერიგებია ამ აზრსა, ამისივე წინააღმდეგია თვით ენა, რომელიც სიკვდილს ეძახის არამც თუ მარტო განსვენებას, არამედ მიძინებას, ხანგრძლივ, მაგრამ მაინც განსაზღვრულ დროებით ძილს, ამის წინააღმდეგია თვით საღმრთო წერილი, რომელიც ბრძანებს: ძმანო, არა გვნებას უმეტრება თქვენი შესვენებულთა მათთვის, არა არა სწუხდეთ, ვითარცა იგი სწვანი, რამეღათა არა აქვთ სსწყება, რამეთუ უკეთუ გვწყამს, ვითარმედ იესო მკვდა და აღსდგა, ეტრება ღმერთმან შესვენებულნი იგი იესოს მიერ მოიყვანეს მისთანა (თესალო. IV. 13—14) და კვალად: ამინ, ამინ გეტყვი თქვენ, რამეთუ რამეღამან სიტყვანი ჩემნი ისმანეს და წწმენეს მამაფლინებულები ჩემი, აქნადეს ცხოვრებას საუკუნო, და სსწყელსა იგი არა შეგადეს, არამედ გარდაიცვალეს იგი სიკვდილისაგან ცხოვრებად (იოან. V, 24). აქედგან ცხადად ჩანს, რომ ეს შიშიც უსაფუძვლო ყოფილა, კაცი კი არა კვდება, არამედ გარდაიცვლება იგი სიკვდილისაგან ცხოვრებად, ე. ი. სიკვდილის საშუალებით გარდასახდება იგი საცხოვრებელად სასუფეველსა ღვთისასა და ამისი თავმდები არის თვით მაცხოვარი ჩვენი უფალი იესო ქრისტე, რომელიც მოკვდა და აღსდგა და ეგრეთვე აღადგენს ყოველსავე მორწმუნესა თვისსა.


კვალად იტყვის ვინმე: ვიცი, კარგად ვიცი, რომ სიკვდილი თვით იმისთვის ვინც მოკვდა განსვენებაა შრომისა და მწუხარებისაგან, ვაებისა და ბოროტებისაგან, სასიამოვნო მიძინებაა, ისიც ვიცი, რომ იგი ძალაა ღვთისათა კვალად აღსდგება თვი-

სივე სხეულით და მოყვასნი და მახლობელნი ვიხილავთ ერთმანეთსა და მივეცემით შვებასა და სიხარულსა განუსაზღვრელსა, მაგრამ გულსა და სულს გვიწუხებს ის, რომ აღრე იყო სიკვდილი მისი, ჯერ კიდევ საჭირო იყო იგი თავის ოჯახისა და მოყვასთათვის. ხშირად გვესმის ხოლმე ამგვარი საყვედური და თითქმის საფუძვლიანიც არის იგი. ვინ არ იცის მაგალითად, თუ რამდენად სასარგებლო აღამიანი იყო აწ განსვენებული გიორგი: ღვთისა და ეკლესიის მოყვარე, მამულისა და სამშობლოს ერთგული, ოჯახისა და ცოლშვილისათვის თავადებული, განათლებისა და მწიგნობრობის მოტრფიალე, მღვდელთა და მონაზონთა პატივისმცემელი, ქვრივთა და ობოლთა გამკითხავი, პატიოსნებით აღსავსე, დაულაღვი მუშაკი და საუკეთესო წარმომადგენელი ძველი ქართველი, დარბაისელი მამაკაცისა, ვის გულს არ მოხვდა ცივად ამბავი ამის სიკვდილისა, ვის არ ეუცხოვა სიკვდილი ამისა? ყოველივე ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ ვინა ხარ შენ, ადამიანო, რომ იყვედრები და უკმაყოფილობას აცხადებ წინააღმდეგ მისა, რომელმაც განაჩინა გაწესებულნი ყაზნი და სსზდგრის დადებანი დამკვიდრებისა უოკელთა ნათესავთა კაცთას (ს. მ. XVII, 27) და რომელიც ფლობს ცხოველთა და მკვდართა ზედა?! ნუ თუ გგონია შენ, ადამიანო, ის პირნი, რომელნიც საჭიროებენ აწ განსვენებულის სიყვარულსა და ტრფიალებასა, შენთვის უფრო ძვირფასნი არიან, ვინემ მისთვის ვინც გააჩინა და დაჰბადა იგინი, ნუ თუ დაობლებულისა და შეწუხებულის ოჯახის შემწე და ნუგეშინის მცემელი ხარ შენ და არა ის, ვინც ფრინველთა ცისათა, რომელნი არა სთესვენ, არცა შკანს, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, ზრდის, რომელი შრამანთა ვეფისათა, რომელი დღეს არს და ხვალე თარხესა შთაეგზნის ესრედ შემოსა, ვითარ არცაღა თუ სოფომონ უოკელსა მას დიდებსა თვისსა შეიმოსდა? (მატ. 6, 26—30). მამასადამე დღეთა ცხოვრებისა ჩვენისათა მფლობელი, ქვრივთა და ობოლთა პატრონი და შემწე ღმერთია და მან, მამამან ჩვენმან ზეცათამან იცის რა გვიხმს უოკელთა ამათაგან, (მატ. 6, 32) უწყის რა უმჯობესია ჩვენთვის, სიკვდილი, თუ სიცოცხლე, სიობლე, თუ დედ-მამიანობა, სიქვრივე თუ ცოლ-ქმრიანობა. ხოლო მწუხარება, ვიში და გოფება არის საჭირო არა მიცვალებულ-

თათვის, რომელთაც მიიძინეს, განისვენეს, არამედ ჩვენთვის და ცოდვათა ჩვენთათვის, რომელთა სიჭრავლე აღდგება ჩვენ წინ და ვერ შესაძლებელად ყოფს ჩვენდა შემთხვევად წმიდათა შორის განსვენებულთა მოყვასთა და მახლობელთა ჩვენთა. აი ეს არის და უნდა იყოს კიდევ ჩვენთვის სამწუხარო და სატირალი და სხვა კი არა რა.

მაშ, საყვარელნო, მიემართოთ მხურვალე ლოცვით ყოვლად მოწყალესა ღმერთსა, რათა მან, სხიერმან, აღზოცოს ყოველნი ცოდვანი და უსჯულოებანი აწ შესვენებულისა მონისა თვისისა კეთილ-შობილისა გიორგისა და დააწესოს სული მისი წიაღთა შინა აბრაამ, ისააკ და იაკობისათა. ხოლო ჩვენ, დაშთომილნი საწუთოსა ამას სოფელსა, გვიხსნას ყოველისაგან ქირისა, რისხვისა და იწროებისა, სამართლად ჩვენ ზედა მოწვევულისა. ამინ.

მღ. კ. ცინცაძე.




ს ი ტ უ მ ა ,

თქმული დეკანოზ დ. ღამბაშიძის მიერ ს. კვალითის ჭაბუკთის წმ. გიორგის ეკლესიაში 28 ენკენისთვეს მღვდლის ანტონ კვანტრეშვილის ძის, ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის მესამე კლასის მწაფის აღექანდრეს დასაფლავების დროს.

აცადეთ ყრმებსა მათ მოსვლად ჩემდა, რამეთუ ვეგ ვითართა არს სასუფეველი ცათა ღმრთისა (ლუკ. 18, 16).

ყრმა ესე, რომლის უსულო სხეული გულ-ხელ დაკრეფილი განისვენებს კუბოში, თავისი ნიჭით და განსაკუთრებით თავისი კეთილი ყოფაქცევით დიდ ნუგეშს უქადაოდა თვის მშობელთა; მაგრამ ეს რამდენიმე ხანია, იგი შევიპრო უკურნებელმა სენმა. თუმცა მშობლებმა სცადეს ყოველივე ღონე, რომ თვისი შვილი განეკურნებიათ, მაგრამ ყოველმა ცდამ და ხარჯმა ამოღდ ჩაიარა.

გულ-ღამწვარნი დედმამა თვალცრემლიანი დასცქერიან დღეს თავის გარდაცვალებულ შვილს და თავის ცეცხლ-მოდებულ გულში ფიქრობენ: ჩვენ



იმედი გვქონდა, რომ ჩვენი შვილი სანდრო, რომელიც სწავლაში ყოველთვის ერთ საუკეთესო მოწავედ ითვლებოდა ხოლმე, ღვთის იმედით გაათავებდა სემინარიას, შემდეგ გააგრძელებდა სწავლას სასულიერო აკადემიაში, ან ეკურთხებოდა მღვდლად და თავისი მოღვაწეობით ერთგულ სამსახურს გაუწევდა თავის დაქვეითებულ სამშობლოს, ქრისტეს ეკლესიას და ჩვენი ნუგეშიც იქნებოდა მოხუცებულობის დროს. დღეს კი რას ვხედავთ ამას? ჩვენი თვალის სინათლე, ჩვენი სიხარული, ჩვენი ცხოვრების სიტკბოება უსულოდ გულ-ხელ დაკრეფილი მღებარეობს კუბოში და რამდენიმე წუთის შემდეგ მას მიიბარებს ცივი სამარე!!

ამის გამო გრილდება სარწმუნოება, სუსტდება სასოება და ჰვენესის მწუხარებით განგმირილი გული. გრიგალი ათასნაირი მძიმე და აუტანელი მწუხარებისა შეიპყრობენ დღეს თქვენს სულსა და გულს, მწუხარენო მშობელნო, და ჩაგაგდებენ სულ-მოკლეობასა შინა.

და აი, სწორეთ ამ აუტანელი მწუხარების დროს, როცა ათასი საექვო ფიქრები იბადებიან თქვენს სულსა და გულში და როდესაც არავის კაცთაგანს არ შეუძლია და ვერც შეძლებს რაიმე ნუგეში მოგცეთ თქვენ—თვით ყოვლად მოწყალე მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე გიხმობსთ თქვენ: ანადეთ ერმათა მათ მსვლად ჩემდა, რამეთუ ეგე ვითარათა არს სასუფეველი ღმრთისა“. ისმინეთ, მწუხარებით განგმირილნო მშობელნო, მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ხმა, ნუ მოუშლით თქვენს საყვარელ შვილს მაცხოვართან მისვლას. თქვენ მოუშლით თქვენს შვილს მაცხოვართან მისვლას არა მარტო თქვენი მეტის-მეტი მწუხარებით და ცრემლით, არამედ თქვენი მისდამი უზომო სიყვარულითაც. თქვენ სწუხართ, რომ თქვენი სასიხარულო შვილი ასე უდროვოდ გამოესალმა ამა წუთისოფელს. მაგრამ განა შეგვიძლია ვთქვათ ჩვენ, რომ თქვენი შვილი დარჩენილიყო ბოროტებით სავსე ქვეყანაზე, იგი დარჩებოდა უმანკო, უცოდველი და არ დაკარგავდა სულისა და სინიდისის სიწმიდეს და პატიოსნებას, რომლითაც მისი სული დღეს ასე ბრწყინვალე და ყველასათვის სანატრელია? განა არ იცით, თუ რა უბედურობით არის დღეს შეპყრობილი ყოველი კაცი და განსაკუთრებით მოსწავლენი, რომელთა

უმეტესობა ჯერ კიდევ სწავლის დამთავრებამდე იღუპება სულიერად და ხორციელად?

უტკვეთ ერმათა მსვლად ჩემდა. ამ სიტყვებით მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე გიხმობსთ თქვენ: მე ძალ-მიძს დაეცვა განსვენებული ესე თქვენი საიმედო შვილი არა თუ უვნებლად, არამედ შემძლია აღვამაღლო და სრულ ვყო იგი. ქვეყნიერ მასწავლებელთა მაგიერ მე მყაოლება მის მასწავლებლებად თვით ანგელოსები და წმიდა მამანი. განა თქვენს მასწავლებლებზე უკეთ ვერ მოუვლიან ისინი მას და მათზე უფრო საიმედოთ არ იბრუნებენ მის სულზე? ნუ თუ ქვეყნიურ მასწავლებლებზე უმჯობესად არ გაართობენ და არ ასწავებენ მის უკვდავ სულს?

თქვენი ქვეყნიური სკოლების მაგიერ, გიხმობსთ თქვენ მაცხოვარი, მე მაქვს ერთი დიდი სასწავლებელი, რომელშიაც შეიძლება ყოველივე მისი შეტყობა, რასაც კი შეუძლია დააკმაყოფილოს თქვენი უკვდავი სულის მოთხოვნილება და მისწრაფება. ამ სასწავლებელში კაცის გონება სხვისი სიტყვიერი გარდამოცემით კი არ იძენს სწავლა-მოძღვრებას, არამედ თავისი საკუთარი მხედველობით ცხადათ იხილავს ყოველივე ქეშმარიტებას და რამდენად მეტს უყურებს და შეიტყობს მას, იმდენად უმეტესად იგრძნობს ამ ქეშმარიტებისადმი მიზიდველობას და უმეტესად ჰპობს მას შინა მოწითულებას და გონების სისრულეს. ქეშმარიტება გამოისახება მისთვის ღვთის მიუწლომელ ბრწყინვალეობაში და ნათელ-მოსილ ანგელოსთა და წმ. კაცთა კრებაში. იგი შეიტყობს ყოველივე მას, რის შეტყობას დღემდის იგი ცდილობდა სწავლით და ცოდნით. ცხადათ იხილავს იგი ღვთის სიბრძნის ძალას, მის ყოვლად შემძლებელობას, სახიერებას და მის მოწყალეობას ჩვენ ცოდვილ კაცთადმი. განა ყოველივე ესეები უფრო მნიშვნელოვანი და სანატრელი არაა ამა ქვეყნიურ რწმენაზე, ცოდნაზე და გამოკვლევაზე?

ნორჩი გული თქვენი შვილისა, გიხმობს თქვენ მაცხოვარი, ჩემთან მიიღებს ისეთს ნამღვილს და ვრცელ განათლებას, ისეთ კეთილს წარმატებით განვითარებას, რომელსაც ვერსად ვერ იხილავთ ამა ქვეყანაზე. სისრულე გულის არსებობისა შეადგენს კაცის სიხარულს და ნეტარებას. განა შეუძლია შევდაროს ამა ქვეყნის ბედნიერება და სიხარული

თქვენი შვილისა იმ სიხარულს და იმ ნეტარებას, რომელსაც იგი იბოვის ჩემთან?

თქვენ გსურდათ, გიხმობსთ თქვენ ნაცხოვარი, რომ როცა თქვენი შვილი გაათავებდა სწავლას, ემსახურებოდა მამულს, ჩემს ეკლესიას და საზოგადოებას; მაგრამ განუშორებლად ყოფნა ღვთისათანა, რომელიც მმართვეს და განაგებს ყოველივეს, უმეტესი და საქები არაა თქვენთვისაც და თქვენი უმანკო შვილისთვისაც? საყვარელი თქვენი შვილის უმანკოება და უცოდველობა, მისი მშვიდი და კეთილი ხასიათი ნუ თუ უფრო დაფასებული არ იქნება ცათა შინა, ვინემ ამა ქვეყანაზე?

თქვენ გსურდათ, რომ თქვენი შვილი თქვენი მოხუცებულობის დროს ყოფილიყო თქვენი ნუგეში შემდეგ ცხოვრებაში. მაგრამ ის განა ნაკლებ ნუგეშს და შემწეობას გაგიწევს თქვენ ზნეობით ცხოვრებაში, თუ თქვენს ყურადღებას მიაქცევთ ზეცისადმი, სადაცა განისვენებს თქვენი შვილი? განა ნაკლები შემწეობა შეუძლია მის წმიდა სულს, როცა იგი ამა ქვეყნის ყოველს უძღურებასა შინა გამოგვეცხადებათ თქვენ მანუგეშებელ ანგელოსად და შეგავედრებსთ უფალს და როცა თქვენც დაუტევებთ ამა ქვეყანას, იგი შეგეგებებათ ზეცათა შინა?

უტკვეთ ურმათა მოსვლად ჩემდა, რამეთუ კეპოთას არს სსსუფეველი დმრთისა. ნუ ზრუნავთ თქვენ შვილზე, გიხმობსთ თქვენ ნაცხოვარი. მართლაც მისი ბედი ქვეშაართად რომ უზრუნველია. იზრუნეთ თავთა თქვენთათვის, რომ თქვენ შეიქნეთ ღირსეული მემკვიდრენი ზეციური სასუფეველისა. გამხნედით, და დასძლიეთ კაცობრიული სისუსტე. უჩვენეთ მაგალითი სიტყვით და ცხოვრებით თქვენს სამწყსოს, რომ მომეტებული მწუხარება და გლოვა უმანკო სულთა ზედა არა ჯერ არს, შემაწუხებელია თვით გარდაცვალებულთა სულთათვისაც.

ყური დაუგდეთ ნაცხოვრის სიტყვას, გარდაცვალებულის მშობელნო, დააცხვრეთ თქვენი გლოვა და მწუხარება სარწმუნოებით და სასოებით მასზედა. უფალმა იესო ქრისტემ, რომელიც განაგებს ცხოველთა და მკვდართა, განგამტკიცოსთ თქვენ და გარდამოგივლინოსთ თქვენ თვისი მადლი და კურთხევა! ამინ.

ამჟამო საავათმყოფო აგზულატორით  
ს. ბ. თოფუჩიანს.

ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ორმოცი საწოლი. ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმყოფებს მიიღებს  
მ. ს. ბ. თოფუჩიანი.

ქირირგიურ შარდით სიფილისით და თვალების ავათმყოფობისათვის.

მ. ფ. კ. ბერკატი.

დედაკაცურ ავათმყოფთა და საბებიო ქალი.

მ. მ. ფ. კოზანი.

ჩჩევა დარჩევის ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავათმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ანგეციის ფასი გარჩევაზეა. სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფუჩიანი.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო განყოფილება: რედაქციისაგან დეკ. დ. ღამბაშიძისა. — მღვდელი. მისივე. — ნამდვილი ქრისტიანი წარმართთა შორის. ვ. ღ. ს. — უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის 1898 წლის ყოვლად უქვეშევრდომილესის ანგარიშიდან ამონაღები ნარკვევი. — ქუთაის-გაზეთებიდან. — ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მცნეიება ქრისტიანობის საჩუქრობასა და კითხვ-წამოგაზე: სიტყვა, თქმული სოფ. ხარაგაულში ყ-დ სამღვ. ეპისკოპოსის ლეონიდის მიერ. — სიტყვა, თქმული დიდუბის ღვთის-მშობლის ეკლესიაში გ. დ. ქართველშვილის დაკრძალვის წინ მ. კ. ცინცაძის მიერ. — სიტყვა, თქმული სოფ. კვალითის წმ. გიორგის ეკლესიაში დეკ. დ. ღამბაშიძის მიერ. — განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 30 октября 1901 г. ✦ Цензуръ прот. Е. Е л и е в з

Гипог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Дейсдзе на Нѣмецкой ул.